

შპს „ინსტა“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	20
5. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები	21
6. ძირითადი საშუალებები	23
7. საინვესტიციო ქონება	24
8. არამატერიალური აქტივები	24
9. მარაგები	25
10. სავაჭრო მოთხოვნები	25
11. გადახდილი ავანსები	25
12. საგადასახადო აქტივი	26
13. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	26
14. კაპიტალი	26
15. სავაჭრო ვალდებულებები.....	26
16. ამონაგები	26
17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	27
18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	27
19. შრომის ანაზღაურების ხარჯი	27
20. არასაოპერაციო შემოსავალი	27
21. მოგების გადასახადი	28
22. პირობითი ვალდებულებები	28
23. ფინანსური რისკების მართვა.....	29
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	32
25. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ინსტა“-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს აუდიტის ჩასატარებლად შპს „ინსტას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს „ინსტას“ თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 5,697,937 ლარით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციით ჩვენ ვერ დავადასტურეთ აღნიშნული ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება. აგრეთვე კომპანიამ 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გადააფასა ძირითადი საშუალების ერთ-ერთი ობიექტი, თუმცა არ გადაუფასებია მთლიანად ის კლასი, რომელსაც მოცემული აქტივი მიეკუთვნებოდა და არც შესაბამისი შეფასება წარმოუდგენია მათ რეალურ ღირებულებასთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შესაბამისად ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგების სხვა შესაბამის ელემენტებზე.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი 778,914 ლარის ოდენობით, რომელზეც კომპანიამ ვერ მოგვაწოდა ძირითადი საშუალებების გადაფასების ანგარიში. ჩვენ ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნულ ოდენობასთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

კომპანიას ასევე არ მოუხდენია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებით შეფასება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, როგორც ეს მოთხოვნილია მსს ფასს ის მე-16 განყოფილების თანამად. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება აღნიშნულ თარიღებში წარმოდგენილია 951,591 ლარის, 1,260,493 ლარისა და 1,274,639 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებასთან დაკავშირებით.

ჩვენ არ დავნიშნულვართ კომპანიის აუდიტორებად 2019 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგების სრულ ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და წლის ბოლოს. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ოდენობის შესახებ, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად წარმოდგენილია 7,571,187 ლარითა და 9,052,210 ლარით. ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგებისა ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ელემენტების კორექტირება.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სავაჭრო მოთხოვნები 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 9,418,781 ლარითა და 7,063,061 ლარით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ კომპანიის მიერ ჩატარებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ანალიზი და ვერც ალტერნატიული გზებით მოვახდინეთ მათი გაუფასურებაზე გატესტვა. შესაბამისად ვერ შევძელით 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სავაჭრო მოთხოვნების ღირებულებასთან დაკავშირებით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება.

კომპანიის 2019 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია 600,148 ათასი ლარის ოდენობის საკურსო სხვაობის წმინდა ეფექტი. კომპანიამ ვერ მოგვაწოდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ნაშთების შესახებ ბუღალტრული ჩანაწერები, შესაბამისად, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით 2019 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული შესაბამისი მუხლის ღირებულების დადასტურება ან შემოწმება.

როგორც ეს „სხვა გარემოებების“ ამსახველ აბზაცშია აღიშნული, კომპანიის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განახორციელა სხვა აუდიტორმა. წინამორბედ აუდიტორთან კომუნიკაციის საფუძველზე არ მოგვეცა სამუშაო დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება. ამასთანავე, არ მოგვეცა შესაძლებლობა წინა წლის ნაშთებთან დაკავშირებით დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარებისა. შესაბამისად, საწყის ნაშთებთან დაკავშირებით ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კომპანიის ძირითად საშუალებებთან, მარაგებთან, სავაჭრო მოთხოვნებთან, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან, საკურსო სხვაობის წმინდა ეფექტთან და გადაფასების რეზერვთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათა შესაბამის ელემენტებში 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის.

სხვა გარემოებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის აუდიტირებული იყო სხვა აუდიტორული ფირმის მიერ, რომელმაც გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება 2019 წლის 30 სექტემბრის.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ სქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „ინსტას“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორული დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

გელა მღებრიშვილი

თბილისი, საქართველო

2020 წლის 1 დეკემბერი

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „ინსტას“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორული დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

გელა მღებრიშვილი

თბილისი, საქართველო

2020 წლის 1 დეკემბერი



Closer to you

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართული ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018*	1 იანვარი 2018*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	5,697,937	5,212,698	4,662,277
საინვესტიციო ქონება	7	951,591	1,260,493	1,274,639
არამატერიალური აქტივები	8	118,462	51,837	79,423
		6,767,990	6,525,028	6,016,339
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	9	7,571,187	9,052,210	9,165,916
სავაჭრო მოთხოვნები	10	9,418,781	7,063,061	3,600,818
გაცემული სესხი		70,449	-	-
გადახდილი ავანსები	11	1,771,621	231,250	824,335
საგადასახადო აქტივი	12	259,437	492,355	256,819
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	2,385,459	1,525,876	411,315
		21,476,934	18,364,752	14,259,203
სულ აქტივები		28,244,924	24,889,780	20,275,542
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	2,000	2,000	2,000
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		778,914	778,914	4,430
სხვა რეზერვები		4,430	4,430	3,400
გაუნაწილებელი მოგება	14	24,334,267	21,809,154	19,042,725
სულ კაპიტალი		25,119,611	22,594,498	19,052,555
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	15	1,679,949	941,832	539,581
მიღებული ავანსები		696,027	1,177,797	460,248
გასაცემი დივიდენდი	14	749,337	175,653	223,158
სულ ვალდებულებები		3,125,313	2,295,282	1,222,987
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		28,244,924	24,889,780	20,275,542

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 და 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-33 გვერდებზე, შპს „ინსტა“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2020 წლის 1 დეკემბერს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

გიორგი ბახსოლიანი
დირექტორი

1 დეკემბერი, 2020

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ჯარიმებული ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018*	1 იანვარი 2018*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	5,697,937	5,212,698	4,662,277
საინვესტიციო კონსება	7	951,591	1,260,493	1,274,639
არამატერიალური აქტივები	8	118,462	51,837	79,423
		<u>6,767,990</u>	<u>6,525,028</u>	<u>6,016,339</u>
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	9	7,571,187	9,052,210	9,165,916
საექსპოზიციო მოთხოვნები	10	9,418,781	7,063,061	3,600,818
გაცემული სესხები		70,449	-	-
გადახდილი ავანსები	11	1,771,621	231,250	824,335
სავადასაბადო აქტივები	12	259,437	492,355	256,819
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	2,385,459	1,525,876	411,315
		<u>21,476,934</u>	<u>18,364,752</u>	<u>14,259,203</u>
სულ აქტივები		<u>28,244,924</u>	<u>24,889,780</u>	<u>20,275,542</u>
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	2,000	2,000	2,000
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		778,914	778,914	4,430
სხვა რეზერვები		4,430	4,430	3,400
გაუნაწილებელი მოგება	14	24,334,267	21,809,154	19,042,725
სულ კაპიტალი		<u>25,119,611</u>	<u>22,594,498</u>	<u>19,052,555</u>
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საექსპოზიციო ვალდებულებები	15	1,679,949	941,832	539,581
მიღებული ავანსები		696,027	1,177,797	460,248
გასაცემი დივიდენდი	14	749,337	175,653	223,158
სულ ვალდებულებები		<u>3,125,313</u>	<u>2,295,282</u>	<u>1,222,987</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>28,244,924</u>	<u>24,889,780</u>	<u>20,275,542</u>

* ზოგიერთი ნაწილები თანხა არ შეესაბამება 2018 და 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-33 გვერდებზე, შპს „ინსტა“-ს ხელმძღვანელობამ დამტკიცა 2020 წლის 1 დეკემბერს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

გიორგი ბახსოლიანი
დირექტორი

1 დეკემბერი, 2020



შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	<i>2019</i>	<i>2018*</i>
ამონაგები	16	19,552,873	23,783,256
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებები	17	(12,571,071)	(15,857,782)
საერთო მოგება		6,981,802	7,925,474
რეკლამა და მარკეტინგი		(20,867)	(20,890)
მიწოდების ხარჯები		(56,554)	(71,976)
შრომის ანაზღაურების ხარჯი	19	(2,176,201)	(1,850,546)
ცვეთა და ამორტიზაცია		(474,940)	(422,776)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(315,721)	(321,814)
უიმედო სავაჭრო მოთხოვნების ხარჯი		-	(728,824)
საკონსულტაციო ხარჯები		(181,302)	(73,012)
საგადასახადო ხარჯი		(91,831)	(64,556)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(137,299)	(180,688)
საოპერაციო მოგება		3,527,087	4,190,392
არასაოპერაციო შემოსავალი	20	553,843	9,804
არასაოპერაციო ხარჯი		(84,696)	-
წმინდა ფინანსური შემოსავალი		-	(4,001)
საკუროს სხვაობის წმინდა შედეგი		600,148	(172,065)
მოგება დაბეგრამდე		4,596,382	4,024,130
მოგების გადასახადის ხარჯი	21	(71,269)	(57,547)
წლის მოგება		4,525,113	3,966,583
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალების გადაფასების ეფექტი	6	-	775,514
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,525,113	4,742,097

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 14)	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სხვა რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,000	19,042,571	3,400	4,430	19,052,401
წლის მოგება	-	3,966,583	-	-	3,966,583
გაცემული დიდენდი (შენიშვნა 14)	-	(1,200,000)	-	-	(1,200,000)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	-	-	775,514	-	775,514
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	21,809,154	778,914	4,430	22,594,498
წლის მოგება	-	4,525,113	-	-	4,525,113
გაცემული დიდენდი (შენიშვნა 14)	-	(2,000,000)	-	-	(2,000,000)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	24,334,266	778,914	4,430	25,119,611

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	<i>2019</i>	<i>2018</i>
საოპერაციო საქმიანობა			
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		12,195,363	4,684,081
იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები		220,432	102,702
მიღებული ავანსები		8,857,781	19,854,213
მომწოდებლისგან დაბრუნებული თანხები		166,267	-
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების უკან დაბრუნება		402,630	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	84,066
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		21,842,473	24,725,062
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები		(11,731,349)	(13,838,705)
კლიენტისთვის დაბრუნებული თანხები		(33,365)	-
შრომის ანაზღაურება		(3,665,978)	(2,970,178)
მივლინება		(36,134)	(3,257)
გადახდილი გადასახადები		(4,059,124)	(5,243,083)
ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხები		(454,754)	(52,311)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(59,413)	(57,317)
იმპორტის გადასახადი		(3,111)	-
კომუნიკაციის ხარჯები		(5,376)	(950)
საკონსულტაციო ხარჯები		(10)	(770)
ბანკის ხარჯები		(20,764)	(77,499)
სესხის დამტკიცების საკომისიო		-	(2,500)
საპროცენტო ხარჯები		-	(4,001)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,773,095	2,474,491
საინვესტიციო საქმიანობა			
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		805,200	-
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის		(389,238)	(90,701)
ნეტო ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		415,962	(90,701)
საფინანსო საქმიანობა			
დივიდენდის გადახდა	14	(1,355,000)	(1,185,000)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(1,355,000)	(1,185,000)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში		834,057	1,198,792
სავალუტო კურსის ეფექტი		25,526	(84,231)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	13	1,525,876	411,315
ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის	13	2,385,459	1,525,876

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***1. შესავალი****(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა**

შპს „ინსტა“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 1998 წლის 9 თებერვალს დაფუძნდა და მდებარეობს საქართველოში. იგი დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 202057264. იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჭაქარიძის ქ. N8.

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს: „ინსტა“-ის 100%-ის მფლობელია გიორგი ბახსოლიანი.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრო სისტემების პროექტირება და სრული ელექტრო გადაწყვეტილებები. სამონტაჟო და საპროექტო სამუშაოები, ძალოვანი და მართვის ფარების წარმოება, ელექტრო სამონტაჟო საქონელის საცალო და საბითუმო გაყიდვები.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის გიორგი ბახსოლიანი.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისაგან.

2. მომზადების საფუძველი**(ა) შესაბამისობის განაცხადი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2019 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება**

მენეჯმენტის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიო და მათ შორის საქართველოს ეკონომიკური გარემო შექმნილი ვითარების გამო, გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება (იხილეთ შენიშვნა 25) და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“).

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, კონვერტირების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანარიშგებო პერიოდის ბოლოს, გადაყვანილია ლარში, ამ დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის კონვერტირება აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული უპირატესი გაცვლითი კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებების კონვერტირების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია წინამდებარე სრული შემოსავლის ანგარიშში- „საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	1 იანვარი, 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.2095	3.0701	3.1044
<i>წლის საშუალო გაცვლითი კურსი</i>	2019	2018	
1 USD/GEL	2.8192	2.5345	
1 EUR/GEL	3.1553	2.9913	

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები***თავდაპირველი აღიარება*

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაყირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	<i>სასარგებლო მომსახურების ვადა</i>
შენობები	5-50 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10-20 წელი
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	1-6 წელი
მცირეფასიანი ინვენტარი	2-10 წელი

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

- ▶ კომპანიის მიერ აქტივის გაომყენების რეჟიმი;
- ▶ სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ▶ ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- ▶ აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომლის ფლობაც ხდება საიჯარო შემოსავლის, კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივეს მისაღებად, და არა საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში გაყიდვის განხორციელების, წარმოებაში გამოყენების ან საქონლის და მომსახურებების მიწოდების, ან სხვა ადმინისტრაციული მიზნით. საინვესტიციო ქონება მოიცავს აგრეთვე დაუსრულებელ მშენებლობებს, რომლებიც დასრულების შემდეგ საინვესტიციო ქონება გახდება.

თავდაპირველი აღიარება

საინვესტიციო ქონება პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საინვესტიციო ქონების შეძენას. საკუთარი ძალებით შექმნილი საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ხარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საინვესტიციო ქონების დანიშნულებისამებრ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და კაპიტალიზებულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ხარჯებს.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, საწარმომ ეს აქტივი უნდა აღრიცხოს თვითღირებულების მოდელით, როგორც „ძირითადი საშუალებები“, სანამ შესაძლებელი არ გახდება მათი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელი არ იქნება, რომ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელი იქნება ნებისმიერ დროს მომავალშიც. **არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე.

თავდაპირველი აღიარება

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახდელებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე და უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ ხარჯებს.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივ ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი მორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)**

როდესაც იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

სასარგებლო მომსახურების ვადა

პროგრამული უზრუნველყოფა
ლიცენზიები

3-10 წელი
1-10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არა ფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, მოწმდება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებენ, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს გაუფასურების ინდიკატორებს და არსებობის შემთხვევაში აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივების საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის რეალურ ღირებულებას გამოკლებული მის გაყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები ჯგუფდება უმცირეს დონეზე, რისთვისაც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი სახსრების შემოძინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული). არა ფინანსური აქტივების წინა პერიოდში განხორციელებული გაუფასურებები (გარდა გუდვილისა) მოწმდება შესაძლო ამოტრიალებაზე თითოეული სააღრიცხვო პერიოდისთვის.

მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში და წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით.

მარაგი შემდგომ ფასდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულების და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯები.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****მარაგები (გაგრძელება)**

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტები*თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება*

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო გაკანვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს, მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს და გაცემულ სესხებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება. თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის შემოსვლა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს და მიღებული ავანსებს.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***3. საარიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)****ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულებს. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებს, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებს, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

ამონაგები

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ნაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარიცხებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან აკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ამონაგები (გაგრძელება)****სამშენებლო ხელშეკრულებების შედეგად მიღებული ამონაგები**

კომპანია მის მომხმარებლებს სთავაზობს ელექტრო მოწყობილობების საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოებს. როდესაც შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია მასთან დაკავშირებულ ამონაგებსა და ხარჯებს აღიარებს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით.

იჯარა**საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე**

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანია საიჯარო შემოსავალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემური მეთოდი უფრო ადეკვატურად ასახავს მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღების გრაფიკს, თუნდაც საიჯარო გადასახდელების გადახდა არ ეფუძნებოდეს იმავე გრაფიკს.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განხორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****დამატებითი ღირებულების გადასახადი**

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლედი დღგ ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღგ-ს მიმართ დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით.

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად. 15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდემილებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრელებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისა და მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)
მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები**

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

დაკავშირებული მხარეების გარიგებები

ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. განყოფილება 11-ი მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

5. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები

ფილიალის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომების იდენტიფიცირება 2018 და 2017 წლების ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ბალანსების გადახედვა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს.

2017 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების			
შესწორებები	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	5,179,782	(517,505)	4,662,277
საინვესტიციო ქონება	757,134	517,505	1,274,639
მარაგები	9,131,958	33,958	9,165,916
საგადასახადო აქტივი	272,877	(16,058)	256,819
სავაჭრო ვალდებულებები	505,623	33,958	539,581
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	16,058	(16,058)	-

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

<i>2018 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების</i>			
<i>შესწორებები</i>	<i>წინა ანგარიშგების მიხედვით</i>	<i>მაკორექტირებელი შესწორება</i>	<i>კორექტირებული თანხა</i>
ძირითადი საშუალებები	5,716,057	(503,360)	5,212,698
საინვესტიციო ქონება	757,134	503,360	1,260,493
მარაგები	10,647,980	(1,595,770)	9,052,210
სავაჭრო მოთხოვნები	7,791,885	(728,824)	7,063,061
საგადასახადო აქტივი	630,500	(138,145)	492,355
სავაჭრო ვალდებულებები	548,973	392,859	941,832
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	16,058	(16,058)	-

<i>2018 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების</i>			
<i>შესწორებები</i>	<i>წინა ანგარიშგების მიხედვით</i>	<i>მაკორექტირებელი შესწორება</i>	<i>კორექტირებული თანხა</i>
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(13,869,153)	(1,988,629)	(15,857,782)
უიმედო სავაჭრო მოთხოვნების ხარჯი	-	(728,824)	(728,824)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(16)	(64,540)	(64,556)
მოგების გადასახადი	-	(57,547)	(57,547)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილშ. მშენებლობა	სხვა	სულ
თვითღირებულება:									
1 იანვარი 2018	385,101	4,252,033	258,709	453,158	226,353	58,366	-	-	6,490,905
შესყიდვა	-	13,639	-	-	-	-	-	137,502	151,141
გადაფასება	-	775,514	-	-	-	-	-	-	775,514
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	385,101	5,041,186	258,709	453,158	226,353	58,366	-	-	7,417,560
შემოსვლები	-	-	394,525	238,065	95,313	51,050	107,334	25,231	929,910
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	385,101	5,041,186	653,234	691,223	321,666	109,416	107,334	25,231	8,347,470
აკუმულირებული ცვეთა:									
1 იანვარი 2018	-	980,144	206,827	125,351	201,645	51,939	-	-	1,825,231
წლის ცვეთის ხარჯი	-	175,685	17,864	31,383	8,896	3,763	-	-	382,398
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	1,155,829	224,691	156,734	210,541	55,702	-	-	2,207,629
წლის ცვეთის ხარჯი	-	200,903	21,404	42,095	12,779	5,442	5,901	-	442,575
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	1,356,732	246,095	198,829	223,320	61,144	5,901	-	2,650,204
წმინდა საბალანსო ღირებულება:									
1 იანვარი 2018	385,101	3,268,492	51,882	327,807	24,708	6,427	-	-	4,662,277
31 დეკემბერი 2018	385,101	3,888,123	34,018	296,424	15,812	2,664	-	-	5,212,698
31 დეკემბერი 2019	385,101	3,685,124	407,139	492,394	98,346	48,272	101,433	25,231	5,697,937

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	მიწის ნაკვეთები	შენობები	სულ
1 იანვარი, 2018	757,134	605,259	1,362,393
შეძენა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	757,134	605,259	1,362,393
შეძენა	-	-	-
გასვლა	-	(341,526)	(341,526)
31 დეკემბერი, 2019	757,134	263,733	1,020,867
აკუმულირებული ცვეთა			
1 იანვარი, 2018	-	87,754	87,754
წლის ცვეთის დარიცხვა	-	-	14,145
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	-	101,899	101,899
წლის ცვეთის დარიცხვა	-	8,699	8,699
გასვლა	-	(41,322)	(41,322)
31 დეკემბერი, 2019	-	69,276	69,276
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი, 2018	757,134	517,505	1,274,639
31 დეკემბერი, 2018	757,134	503,360	1,260,493
31 დეკემბერი, 2019	757,134	194,457	951,591

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
1 იანვარი, 2018	132,417	66,819	199,236
შეძენა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	132,417	66,819	199,236
შეძენა	-	90,532	90,532
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	132,417	157,351	289,768
აკუმულირებული ამორტიზაცია			
1 იანვარი, 2018	85,504	35,125	120,629
ამორტიზება	23,574	3,436	27,010
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	109,078	38,561	147,639
ამორტიზება	16,612	7,055	23,667
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	125,690	45,616	171,306
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი, 2018	46,913	31,694	79,423
31 დეკემბერი, 2018	23,338	28,259	51,837
31 დეკემბერი, 2019	6,726	111,736	118,462

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. მარაგები

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
მარაგები	9,970,963	10,630,078	9,118,355
მარაგები გზაში	27,154	392,858	33,958
საწვავი	5,282	9,013	5,571
მოდველებული მარაგების ანარიცხი	(2,461,944)	(1,988,629)	-
სხვა	6,595	8,890	8,032
სულ მარაგები	7,548,050	9,052,210	9,165,916

მოდველებული მარაგების ანარიცხის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მოდველებული მარაგების ანარიცხი		
1 იანვრის მდგომარეობით	(1,988,629)	-
ზრდა	(827,866)	(1,988,629)
ანარიცხის ამობრუნება	354,551	-
სულ მოძველებული მარაგების ანარიცხი	(2,461,944)	(1,988,629)

10. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები	10,147,605	7,791,885	3,600,818
გაუფასურების რეზერვი	(728,824)	(728,824)	-
9,418,781	7,063,061	3,600,818	

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან.

სავაჭრო მოთხოვნების საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
გაუფასურების რეზერვი		
1 იანვრის მდგომარეობით	728,824	-
ზრდა	-	728,824
რეზერვის ამობრუნება	-	-
სულ გაუფასურების რეზერვი	728,824	728,824

11. გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები წარმოადგენს სასაქონლო მატერიალური მარაგების შესაძენად მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს რომელთა ჯამური ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის ბოლოს შეადგენს 1,771 ათას ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: 231 ათასი ლარი, 2018 წლის 1 იანვარი: 824 ათასი ლარი).

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. საგადასახადო აქტივი

გადასახდელი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების N 407 შესაბამისად.

13. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
ფულადი სახსრები სალაროში (ლარში დენომინირებული)	29,188	19,126	15,611
მოთხოვნისას გადასახადელი საბანკო ბალანსები, მათ შორის:	2,356,271	1,506,750	395,704
- ლარში დენომინირებული	1,651,938	823,257	104,556
- აშშ დოლარში დენომინირებული	338,502	141,929	39,015
- ევროში დენომინირებული	365,831	541,564	252,133
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2,385,459	1,525,876	411,315

მოთხოვნამდე საბანკო ბალანსები 2,356,271 ლარის ოდენობით განთავსებული იყო “BB-“ რეიტინგის მქონე ბანკში ფიჩის რეიტინგის მიხედვით (2018 წლის 31 დეკემბერი: 1,506,750 ლარი; 2018 წლის 1 იანვარი: 395,704 ლარი).

14. კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა სრულად შეტანილი 2,000 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალი.

2019 წელს მოხდა დივიდენდის გამოცხადება 2,000,000 ლარის და გადახდა 1,426,316 ლარის ოდენობით (2018: 1,200,000 ლარის გამოცხადება და 1,247,505 ლარის გადახდა). კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

15. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	1,616,777	941,832	539,581
გადასახდელი ხელფასები	63,172	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,679,949	941,832	539,581

16. ამონაგები

კომპანიის ამონაგები 2019 და 2018 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2019	2018
ამონაგები სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	16,740,467	21,338,165
ამონაგები მარაგის რეალიზაციიდან	2,607,917	2,337,813
შემოსავალი იჯაროდან	204,489	107,278
სულ ამონაგები	19,552,873	23,783,256

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2019 და 2018 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2019	2018
გამოყენებული მასალები	(6,477,862)	(8,976,637)
გაყიდული მარაგების ღირებულება საცალო რეალიზაციიდან	(2,959,806)	(2,515,595)
პირდაპირი ხელფასები	(2,621,292)	(2,264,453)
მიღებული მომსახურება	(19,179)	(100,893)
სხვა	(19,618)	(11,575)
მოძველებული მარაგები	(473,314)	(1,988,629)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(12,571,071)	(15,857,782)

მოძველებული მარაგების ანარიცხის მოძრაობა განხილულია მე-9 შენიშვნაში.

18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

კომპანიის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2019 და 2018 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2019	2018
მივლინების ხარჯი	(91,809)	(45,683)
დაზღვევის ხარჯი	(44,891)	(53,786)
იჯარის ხარჯი	(34,876)	(39,838)
დაცვის ხარჯი	(33,615)	(38,254)
ბანკის საკომისიო	(22,988)	(77,562)
სამეურნეო ხარჯი	(21,739)	(25,400)
რემონტის ხარჯი	(20,972)	(417)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(11,662)	(3,572)
ლიცენზიის ხარჯი	(2,513)	(7,691)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(30,656)	(29,611)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(315,721)	(321,814)

19. შრომის ანაზღაურების ხარჯი

კომპანიის შრომის ანაზღაურების ხარჯი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(1,736,555)	(1,558,422)
პრემია, ბონუსები	(308,301)	(211,320)
სხვა სარგებელი	(131,345)	(80,804)
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	(2,176,201)	(1,850,546)

20. არასაოპერაციო შემოსავალი

კომპანიის არასაოპერაციო შემოსავალი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2019	2018
მოგება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	381,830	-
შემოსავალი სარეალიზაციო პროდუქციის დაზღვევიდან	135,677	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	36,336	9,804
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	553,843	9,804

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***21. მოგების გადასახადი**

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები და თარიღმა გადაიწია 2023 წლის იანვრამდე. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე ($1/85\% \cdot 15\%$) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

2019 და 2018 წლებში კომპანიამ გაანაწილა დივიდენდი და შესაბამისად აქვს მოგების გადასახადის ხარჯი 2019 წელს 71,269 ლარი (2018: 57,547 ლარი).

22. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. ფინანსური რისკების მართვა**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობის შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს. მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. რადგან კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრო სამონტაჟო მომსახურება და საცალო რეალიზაცია 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	10,147,605	7,791,885	3,600,818
ფული და ფულის ექვივალენტები	2,356,271	1,506,751	395,705
სულ მაქსიმალური გავლენა რისკის მიმართ	12,503,876	9,298,636	3,996,523

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა დაფუძნებულია ერთი ფაქტორის ცვლილებაზე ყველა სხვა ფაქტორების მუდმივად შენარჩუნების ფონზე. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა რომ მოხდეს და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შესაძლოა იყოს კორელაცია - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და ცვლილებები უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის

ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,681,126	365,831	338,502	2,385,459
სავაჭრო მოთხოვნები	1,990,440	3,080,112	4,348,229	9,418,781
გაცემული სესხები	-	70,449	-	70,449
გადახდილი ავანსები	348,231	806,308.00	617,082.00	1,771,621

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	577,538	97,165.00	21,324	696,027
სავაჭრო ვალდებულებები	76,850	1,133,388	469,711	1,679,949
	654,388	1,230,553	491,035	2,375,976
დია საბალანსო პოზიცია	3,365,409	3,092,147	4,812,778	11,270,334

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს მოგება/ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გაცვლით კურსში მოსალოდნელი გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი (ზარალი) მოგება	962,556	(962,556)
ევროს ეფექტი (ზარალი) მოგება	618,429	(618,429)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც უპირატესად სესხებისგან შედგება. კომპანია სახსრებს აბანდებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შეძლოს სწრაფად და უმტკივნეულოდ მოახდინოს რეაგირება გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებზე. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი საშუალებების და მისი ეკვივალენტებისგან (შენიშვნა 11). მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფულადი საშუალებების ლიკვიდურობის პორტფელი შესაძლოა რეალიზდეს ნაღდ ფულზე ერთი დღის განმავლობაში, რათა დააკმაყოფილოს გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნები.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ვალდებულებებს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადის შესაბამისად. ვადიანობის ცხრილში მოცემული თანხები არის სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. აღნიშნული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მოცემული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ეყრდნობა დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები დაკონვერტირებულია სპოტ სავალუტო კურსი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***23. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,385,459	-	2,385,459
სავაჭრო მოთხოვნები	9,418,781	-	9,418,781
გაცემული სესხები	70,449	-	70,449
გადახდილი ავანსები	1,771,621	-	1,771,621
	13,646,310	-	13,646,310
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1,679,949	-	1,679,949
მიღებული ავანსები	696,028	-	696,028
	2,375,977	-	2,375,977
ლიკვიდურობის სხვაობა	11,270,333	-	11,270,333
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	11,270,333	-	-

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,525,876	-	1,525,876
სავაჭრო მოთხოვნები	7,063,061	-	7,063,061
გადახდილი ავანსები	231,250	-	231,250
	8,820,187	-	8,820,187
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	941,832	-	941,832
მიღებული ავანსები	1,177,797	-	1,177,797
	2,119,629	-	2,119,629
ლიკვიდურობის სხვაობა	6,700,558	-	6,700,558
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	6,700,558	-	-

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	411,315	-	411,315
სავაჭრო მოთხოვნები	3,600,818	-	3,600,818
გადახდილი ავანსები	824,335	-	824,335
	4,836,468	-	4,836,468
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	539,581	-	539,581
მიღებული ავანსები	460,248	-	460,248
	999,829	-	999,829
ლიკვიდურობის სხვაობა	3,836,639	-	3,836,639
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	3,836,639	-	-

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**კაპიტალის მართვა**

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელსთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს კომპანიის დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა; და

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბარიზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკ ქვეშ დააყენოს კომპანიის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს გავითარებულ ბაზრებზე, მათ შორის ეკონომიკური, საგადასახადო, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საკანონმდებლო რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ზოგადად ურთიერთდაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი არიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთმხარეს შეუძლია, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

(ა) ერთობლივი კონტროლის მქონე ორგანიზაციებთან ურთიერთობა

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	1 იანვარი, 2018
სავაჭრო მოთხოვნები	115,671	115,738	112,430
გაცემული სესხი	70,449	-	-

(ბ) ტრანზაქციები ხელმძღვანელ პერსონალთან

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოებში:

	2019	2018
ხელფასი და სხვა სარგებელი	147,147	121,645

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში)***25. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- კომპანიამ 2020 წლის 18 აგვისტოს გააფორმა წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც 100%-იანი წილის მესაკუთრე გახდა შპს „გეოკრისტალი“-ს (ს/კ 205038403), რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს შპს „პოლიეთილენი“-ს (ს/კ 208155191) 100%-იანი წილის მესაკუთრეს. გარიგების ჯამური ღირებულება შეადგენს 949,260 აშშ დოლარს;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გამოცხადდა და გაანაწილა 1,000,000 ლარის დივიდენდი.

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ამ გარემოების გამო, 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გამოცხადდა ერთთვიანი საგანგებო მდგომარეობა, რომელიც იმავე პერიოდით გახანგრძლივდა. ვითარების შედეგად, კომპანია გარკვეული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, თუმცა კომპანიამ მალევე აღადგინა საქმიანობა საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდგომ. კომპანია თვლის, რომ მას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია, რომ განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობის ანგარიშგება

2019 წელი

შინაარსი

მისია	3
დამფუძნებელთა სტრუქტურა/ადამიანური რესურსები	4
ფინანსური მაჩვენებლები	5
სამომავლო გეგმები	6

შპს „ინსტა“ - საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ელექტრო ტექნიკური სამუშაოების დაპროექტება- შესრულება, ელ. გამანაწილებელი ფარების წარმოება და ელექტრო სამონტაჟო მასალებით ვაჭრობა.

საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- საპროექტო სამსახური
- პროექტების მართვის სამსახური
- სუსტი დენების განყოფილება
- საოპერაციო განყოფილება
- გაყიდვების განყოფილება
- ლოჯისტიკის და შესყიდვების განყოფილება
- ელექტრო გამანაწილებელი კარადების/ფარების საწარმო
- უსაფრთხოების და ხარისხის განყოფილებები

მისია

ჩვენი მისიაა პარტნიორებისათვის და კლიენტებისთვის ვუზრუნველყოთ უსაფრთხო, ხარისხიანი და თანამედროვე ელექტრო სამუშაოების და პროდუქციის მიწოდება.

ვიყოთ ახალი პრაქტიკების და პროგრესული მიდგომების ინიციატორი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი საქმიანობის სფეროს განვითარებას საქართველოში.

ინსტას ყველა ძირითადი პროცესი სერთიფიცირებულია ISO 9001:2015 ხარისხის მართვის სისტემის მიხედვით, გერმანული საერთაშორისო კომპანია TÜV Süd-ის მიერ. ამ სისტემის ფარგლებში ყოველწლიურად ტარდება მინიმუმ ერთი შიდა და ერთი გარე აუდიტი. წლიური საკონტროლო აუდიტი კომპანიამ წარმატებით გაიარა. კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი მასალები და კომპონენტები წარმოებულია ისეთი წამყვანი დასავლურ ევროპული კომპანიების მიერ, როგორებიც არიან სიმენს, ლაპ კაბელ, ფესტო, ეატონ და ა.შ.

კომპანიას ყავს გამოყოფილი თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია უშუალოდ შესრულებული სამუშაოების ხარისხის შემოწმებაზე.

პროცესების უკეთესი მართვის ხელშეწყობისთვის, კომპანიამ 2019 წელს დაიწყო ახალი საერთაშორისო ERP სისტემის - SAP Business One -ის დანერგვა და პროცესის პირველი ეტაპი

დასრულდა ამავე წელს. სისტემა დაიხვეწა 2020 წლის განმავლობაში, რის შედეგად კომპანიას მიეცა დამატებითი ანალიტიკური შესაძლებლობები.

კომპანია სისტემატიურად ატარებს მომხმარებლების და დამკვეთების კმაყოფილების კვლევას, რის შედეგადაც ახდენს პროდუქტების და პროცესების მუდმივ გაუმჯობესებას.

კომპანია ასევე პერიოდულად ატარებს თანამშრომლების კმაყოფილების კვლევას, რის მიხედვითაც ცდილობს არსებული პრობლემები დაძლიოს და სამუშაო პირობები მუდამ გააუმჯობესოს.

დამფუძნებელთა სტრუქტურა და კორპორატიული მართვა

კომპანია დაფუძნებულია 1998 წლის თებერვალში, 100% წილის მფლობელია ფ/პ

გიორგი ბახსოლიანი;

ადამიანური რესურსები

„ინსტა“-ში დიდი ყურადღება ექცევა თანამშრომლების განვითარებას და მათი პოტენციალის გამოვლენას, რაც მუდმივი განვითარებისა და სწავლების საშუალებით მიიღწევა. კომპანიისთვის აუცილებელია თითოეულ თანამშრომელს მიეცეს თანაბარი შანსი საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენაში და ამით ხელი შეუწყოს, როგორც საკუთარი თავის ისე კომპანიის განვითარებას.

სისტემატიური ტრენინგების საშუალებით კომპანია თანამშრომლების უნარების და კომპეტენციების გაღრმავებაზე ზრუნავს. „ინსტა“-ს თანამშრომლები ტრენინგებს გადიან, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ისეთ წამყვან ევროპულ კომპანიებში, როგორიცაა: Siemens, Phoenix Contact, Lapp Kabel, Jung, Eaton, Festo და სხვა. „ინსტა“-ში თანამშრომლებს ეძლევათ საშუალება მიიღონ საქართველოში არსებულ უმსხვილეს კომპანიებთან და საერთაშორისო ბრენდებთან მუშაობის გამოცდილება.

კომპანიაში შერჩევის პროცესი რანდენიმე ეტაპისგან შედგება, იგი მოიცავს სატელეფონო, პირად გასაუბრებას და წერილობით ტესტს ვაკანტური პოზიციიდან გამომდინარე. კანდიდატის მოძიება ხდება როგორც LinkedIn-ის საშუალებით, ასევე სხვადასხვა დასაქმების გვერდზე ვაკანსიის გამოცხადების გზით.

ფინანსური მაჩვენებლები

	2019	2018
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5,697,937	5,212,698
საინვესტიციო ქონება	951,591	1,260,493
არამატერიალური აქტივები	118,462	51,837
სულ გრძელვადიანი აქტივები	6,767,990	6,525,028
მარაგები	7,571,187	9,052,210
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,418,781	7,063,061
გაცემული სესხი	70,449	-
მომწოდებლებზე გადახსილი ავანსები	1,771,621	231,250
საგადასახადო აქტივი	259,437	492,355
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2,385,459	1,525,876
სულ მიმდინარე აქტივები	21,476,934	18,364,752
სულ აქტივები	28,244,924	24,889,780
სააქციო კაპიტალი	2,000	2,000
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	778,914	778,914
სხვა რეზერვი	4,430	4,430
გაუნაწილებელი მოგება/ ზარალი	24,334,267	21,809,154
სულ კაპიტალი	25,119,611	22,594,498
სავაჭრო ვალდებულებები	1,679,949	941,832
მიღებული ავანსები	696,027	1,177,797
დივიდენდი	749,337	175,653
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3,125,313	2,295,282
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	28,244,924	24,889,780

ძირითადი კოეფიციენტები გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი (Current Ratio)	7	8
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	4	4
ერთობლივი მოგების მარჟა (Gross Profit Margin)	36%	33%

სამომავლო გეგმები

ინსტას შემოსავლების მთავარი წყარო მეტ წილად საქართველოს სამშენებლო სფეროზეა დამოკიდებული. ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში გაზრდილი ინვესტიციები, ტურიზმის სფეროს სწრაფი ზრდა და მასთან დაკავშირებული სასტუმროების მშენებლობები დადებითად აისახა კომპანიაზე. სამშენებლო სფეროში ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, თუმცა კომპანიისთვის შესაძლებლობებსაც წარმოადგენს.

ქვეყნის ორიენტირი ენერგო ეფექტურ და განახლებად ენერგიის წყაროებზე თანხვედრაშია კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებებთან.

აღსანიშნავ რისკის ფაქტორებად რჩება მერყევი სავალუტო კურსი და პროფესიონალი კადრების ნაკლებობა ადგილობრივ ბაზარზე. თუმცა, ამ უკანასკნელის მიმართულებით ბოლო პერიოდში შეინიშნება დინამიკა უკეთესობისკენ, სახელმწიფოს მიერ კონკრეტული გადადგმული ნაბიჯების შედეგად.

რისკის ფაქტორს კლავ წარმოადგენს გარკვეული სამშენებლო მასალების და შესრულებული სამუშაოების ნორმატივების და სტანდარტების არ ქონა ან არასათანადო შემოწმების მექანიზმები, რის გამოც კომპანია შესაძლებელია აღმოჩნდეს არა-თანაბარი კონკურენციის პირობებში.

გიორგი ბახსოლიანი

დირექტორი

თბილისი, საქართველო

ინსტას შემოსავლების მთავარი წყარო მეტ წილად საქართველოს სამშენებლო სფეროზეა დამოკიდებული. ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში გაზრდილი ინვესტიციები, ტურიზმის სფეროს სწრაფი ზრდა და მასთან დაკავშირებული სასტუმროების მშენებლობები დადებითად აისახა კომპანიაზე. სამშენებლო სფეროში ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, თუმცა კომპანიისთვის შესაძლებლობებსაც წარმოადგენს.

ქვეყნის ორიენტირი ენერგო ეფექტურ და განახლებად ენერგიის წყაროებზე თანხვედრაშია კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებებთან.

აღსანიშნავ რისკის ფაქტორებად რჩება მერყევი სავალუტო კურსი და პროფესიონალი კადრების ნაკლებობა ადგილობრივ ბაზარზე. თუმცა, ამ უკანასკნელის მიმართულებით ბოლო პერიოდში შეინიშნება დინამიკა უკეთესობისკენ, სახელმწიფოს მიერ კონკრეტული გადადგმული ნაბიჯების შედეგად.

რისკის ფაქტორს კლავ წარმოადგენს გარკვეული სამშენებლო მასალების და შესრულებული სამუშაოების ნორმატივების და სტანდარტების არ ქონა ან არასათანადო შემოწმების მექანიზმები, რის გამოც კომპანია შესაძლებელია აღმოჩნდეს არა-თანაბარი კონკურენციის პირობებში.

გიორგი ბახსოლიანი

დირექტორი

თბილისი, საქართველო

